



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელმწიფო

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების თაობაზე
განცხადების განსახილველად მიღების შესახებ

საქმე №28/1367-11

20 აპრილი 2011 წელი.
თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლო
სამოქალაქო საქმეთა პალატა

მოსამართლე: ქეთევან კუჭავა

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენის გარეშე

განმცხადებელი – შპს „ბიზნეს ცენტრი აღმაშენებელზე“.

მოწინააღმდეგე მხარე – შპს „ჯი ემ გრუფი“

განმცხადებლის მოთხოვნა – საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ განიხილა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ შპს „ბიზნეს ცენტრი აღმაშენებელზე“ განცხადების (შუამდგომლობის) დასაშვებობის საკითხი და თვლის, რომ იგი მიღებული უნდა იქნეს განსახილველად და დაინიშნოს საქმის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საქმეთა პალატა თვლის, წარმოდგენილი განცხადება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ აკმაყოფილებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსითა და „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ პირობებს. ამდენად, განცხადება დაშვებულ უნდა იქნეს განსახილველად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356^{21.3} მუხლის შესაბამისად, განჩინება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ გამოტანილ უნდა იქნეს შესაბამისი შუამდგომლობის მიღებიდან 10 დღის ვადაში.

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-6 მუხლით გარანტირებულია სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება, რომლის თანახმად, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

აღნიშნული უფლების განხორციელება რამდენიმე ასპექტს მოიცავს. ერთ-ერთი მათგანია სასამართლოს მიერ საქმეთა განხილვა მხარეთა შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპის საფუძველზე, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია სამართლიანი და მიუკერძოებელი გადაწყვეტილების გამოტანა.

მხარეთა თანასწორობის პრინციპი ნიშნავს, რომ სამართალწარმოების მონაწილეებს უფლება აქვთ მიიღონ ინფორმაცია მოწინააღმდეგე მხარის ფაქტებისა და არგუმენტების შესახებ, ასევე, თითოეულ მათგანს აქვს საწინააღმდეგო არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეჯიბრებითობის, მხარეთა თანასწორობისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების განხორციელების ინტერესი მოითხოვს სასამართლოს მიერ მხარის ინფორმირებას არბიტრაჟის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადების განხილვის თაობაზე, მისთვის პოზიციების დაფიქსირების შესაძლებლობის მიცემას და მხოლოდ აღნიშნულის საფუძველზე გადაწყვეტილების გამოტანას. ამის განხორციელება კი გარკვეულ დროსთან არის დაკავშირებული. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამართლიანი სასამართლოს უფლების, ასევე „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356^{21.3} მუხლით გათვალისწინებული 10-დღიანი ვადა უნდა გაგრძელდეს 2 თვით.

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის თანახმად, განმცხადებლის მოწინააღმდეგე მხარეებს უნდა განემარტოთ, რომ ისინი უფლებამოსილნი არიან სასამართლოს წარუდგინოს შესაგებელი (მოსაზრებები) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადებასთან დაკავშირებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356^{21.2} მუხლის თანახმად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლოს შეუძლია

დაადგინოს ზეპირი განხილვაც, თუ ეს საჭიროა და ხელს უწყობს საქმის გარემოებების გარკვევას. ზეპირი განხილვის შემთხვევაში, მხარეებს ეცნობებათ სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს მიერ საკითხების განხილვასა და გადაწყვეტას.

ამდენად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადების განხილვა უნდა დაინიშნოს ზეპირი მოსმენის გარეშე, რის შესახებაც მხარეებს უნდა ეცნობოთ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფელის), ალტერნატიული მისამართის სამუშაო ადგილის ან სასამართლოსათვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით. იმავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას უწყება ვერ ჩაჰბარდა ამ კოდექსის 73-ე მუხლის 1^ლ ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, სასამართლო ხელმძღვანელობს ამ კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რადგან წარმოდგენილი საარბიტრაჟო საქმის მასალებით დასტურდება, რომ განმცხადებლის მოწინააღმდეგე მხარის შპს „ჯი-ემ გრუფი“-ს რეგისტრაციის მისამართზე (თბილისი, სანდრო ეულის ქ. №5ა) არ ბარდება გაგზავნილი, კორესპონდენცია, პალატა თვლის, რომ მას საჯარო შეტყობინებით უნდა ეცნობოს განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების შესახებ.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-374-ე, 284-285-ე, 414-ე მუხლებით და

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. შპს „ბიზნეს ცენტრი აღმაშენებელზე“-ს განცხადება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნეს განსახილველად.

2. მოწინააღმდეგე მხარეს შპს „ჯი ემ გრუფს“, გაეგზავნოს შუამდგომლობა და თანდართული მასალები, ასევე საჯარო გამოქვეყნების გზით ეცნობოს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს წარმოებაშია შპს „დავების განმხილველი ცენტრის“-ს შუამდგომლობა (განცხადება) საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის 2011 წლის 15 მარტის №309 საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების თაობაზე და განემარტოს, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის თანახმად, იგი უფლებამოსილია ამ განჩინების გადაცემიდან 3 (სამი) დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში წარმოადგინოს შესაგებელი (მოსაზრებები) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადებასთან დაკავშირებით, კერძოდ, მიუთითონ:

ა. ხომ არ ხდის სადავოდ საარბიტრაჟო შეთანხმების მხარის ქმედუნარიანობას?

ბ. იმ სამართლებრივი ნორმების მიხედვით, რომლებზედაც მითითებულია საარბიტრაჟო შეთანხმებაში, ხოლო ასეთი მითითების არარსებობისას – საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ხომ არ არსებობს საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი?

გ. იყო თუ არა სათანადო წესით ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ან ხომ არ არსებობდა საპატიო მიზეზი, რის გამოც ვერ მიიღეს მონაწილეობა საარბიტრაჟო განხილვაში?

დ. ხომ არ არის საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილი იმ დავის შესახებ, რომელიც არ იყო გათვალისწინებული საარბიტრაჟო შეთანხმებით ან ხომ არ ეხება ისეთ საკითხს, რომელიც სცილდება საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს?

ე. ხომ არ მიაჩნია, რომ არბიტრაჟის შემადგენლობა ან საარბიტრაჟო წარმოება არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას, ხოლო ასეთი შეთანხმების არარსებობისას, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს?

ვ. ხომ არ ხდის სადავოდ, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში?

3. დაინიშნოს საქმის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე.
4. განცხადების განხილვის ვადა გაგრძელდეს 2 თვით.
5. განჩინების გასაჩივრება არ დაიშვება.

მოსამართლე:

ქეთევან კუჭავა